# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(84) 2014 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

## ტრადიციად იქცა

## ჩვენი და მომავალი თაობების ჯანმრთელობისათვის

**გასული** საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიურ-მატერიალურმა სიმძიმემ თავისი მსახვრალი ხელი დაატყო დედა-ბუნებას – გაიჩეხა ტყეები, ქარსაცავი ზოლები, გაიკაფა ასწლოვანი მუხები. ადგილ-ადგილ ტყეები სახნავ-სათეს სავარგულებად იქცა. ბუნებრივმა კატაკლიზმებმა დაგვანახა ჩვენი უსულგულობა, დაუდევრობა და გასაკვირი აღარ არის სტიქიისგან მოყენებული ზარალი – მოულოდნელი ღვარ-ცოფი, ჩამოწოლილი მეწყერი და წყლის დეფიციტი. ცნობილია, რომ ხე და ხის ფოთოლი ადამიანისათვის უპირველეს საარსებო და საჭირო ელემენტს – ჟანგბადს გამოყოფს.

გასულ წელს მთელ საქართველოში და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც დაიწყო მამულიშვილური საქმე – ნარგავების დარგვა, რაც ტრადიციად იქცა და ამ შემოდგომაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით ტერიტორიაზე 4000-მდე სხვადასხვა ჯიშის ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეები დაირგა – მათგან 1300 ძირი მარტო სოფელ უდაბნოში, მომავალში დაირგვება კიდევ 2000 ძირი.





ლია კოხტაშვილის ფოტოები

ჯანდაცვა

**გაიხსნა საექიმო ამბულატორია**

### ვერხვიანი



ლანა როსტიაშვილის ფოტოები

ინფრასტრუქტურა

**რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზიდან სოფლამდე მისასვლელი გზა მოასფალტდა.**



## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

18 ნოემბერი, 2014 წელი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ***ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **ცისმარ თედიაშვილი** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე, ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა იურიდიულ საკითხებში **კახაბერ ხვთისავრიშვილმა.** მან საკრებულოს წევრებს აღნიშნული დებულება გააცნო და აღნიშნა, რომ დებულება აწესრიგებს საკრებულოს აპარატისა და გამგეობის მოხელეთა ატესტაციის პროცესს. მომხსენებელი ასევე, შეეხო კონკურსის ან საატესტაციო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც კომისიამ უნდა დაიცვას:

კანონიერება – კონკურსის ან ატესტაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დებულების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

სამართლიანობა, რაც ნიშნავს აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას გადაწყვეტილების მიღებას დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად;

საჯაროობა – კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;

არადისკრიმინაციულობა – კონკურსის და ატესტაციის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პირთა თანასწორობას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ა.შ.

ობიექტურობა – პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური ან პიროვნული ნიშნით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

მიუკერძოებლობა – აღნიშნულ პროცესში ყველა გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სამართლიანი და ობიექტური შეფასებით;

კოლეგიურობა – აღნიშნული ეტაპები უნდა ჩატარდეს და შედეგები უნდა დამტკიცდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ;

კორექტულობა – ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, ან უნდა ისახავდეს პირის შეურაცხყოფას, არ უნდა ახასიათებდეს სიძულვილის ენა. საკონკურსო-საატესტაციო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს, ასევე ვრცლად გააცნო კომისიის მიზნები, ფუნქციები, შემადგენლობა, კომისიის მუშაობის წესი, კონკურსის და ატესტაციის მიზნები და ამოცანები, კონკურსის და ატესტაციის ჩატარების პროცედურული საკითხები და ა.შ.

აღნიშნული საკითხის მოსმენის შემდეგ გაიმართა ცხარე სჯა-ბაასი განხილული დებულების უფრო დასახვეწად. დეპუტატ ზურაბ ქურთიშვილის მიერ დასმულ შეკითხვაზე – რატომ არ უნდა იღებდეს მონაწილეობას გამგეობის სამსახურის უფროსი ატესტაციაში, მომხსენებლის მიერ გაცემულ იქნა პასუხი.

დეპუტატმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა დეპუტატთა ყურადღების გამახვილება ითხოვა მოსმენილი დებულების თავი II, მუხლი 4, პუნქტი 3-ის მიმართ. „საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით“ და დასვა კითხვა – რამდენად გამართლებული იქნება, ერთმა პიროვნებამ, ამ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარემ აიღოს დიდი პასუხისმგებლობა, მანვე შეარჩიოს ერთპიროვნულად კომისიის წევრები? ეს ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი ე.ი. კომისიის თავმჯდომარის აზრი და სურვილი უნდა იქნას გათვალისწინებული თითოეული წევრის მიერ მუშაობის პროცესში?

მოსმენილ საკითხზე აზრი გამოთქვა საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ ბესიკ მარტიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა: როცა კომისიის თავმჯდომარე თავად ირჩევს კომისიის დანარჩენ წევრებს, მაშინ ყველა საკითხს ერთპიროვნულად, კომისიის წევრების აზრის მიუხედავად, გადაწყვეტს თავად კომისიის თავმჯდომარე.

საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ*** **ალექსანდრე მეზვრიშვილმა.** მომხსენებელი კონკრეტულად შეეხო იმ საკითხებს, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ყველა საჯარო მოხელეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციას მოეთხოვება.

საკითხი ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“*** დეპუტატებს **კახაბერ ხვთისავრიშვილმა** გააცნო.

***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“*** – მოხსენება გააკეთა **კახაბერ ხვთისავრიშვილმა.**

საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 19 ნოემბრის №96 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა შესყიდვების საკითხებში*** **ნათია ბილაშვილმა.**

სხდომაზე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის*** **ელდარ მეფარიძის** მოხსენებები შეეხო სხვადასხვა მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების ნუმერაციას.

სხდომაზე დეპუტატებმა იმსჯელეს მთელ რიგ საკითხებზე და განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საკრებულოს მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და დებულებით უზრუნველყოფს განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისიის თავმჯდომარეა ნიკოლოზ **(ნოდარ) ვაჭრიშვილი, რომელიც** დღეს კომისიის მუშაობაზე გვესაუბრება.

**ცნობისათვის**: დაიბადა 1955 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში.

1972 წელს დაამთავრა მანავის №1 საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო. 1977 წელს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის „საქსოფლტექნიკის“ საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში ინჟინერ-ეკონომისტად.

1981 წლიდან თბილისის „საქსოფლტექნიკის საგარეჯოს ფერმერების მექანიზაციის განყოფილების მთავარი ეკონომისტია.

1982 წლიდან საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხნის მთავარი ბუღალტერია.

1987 წლიდან ავტოსატრანსპორტო გაერთიანების საფინანსო განყოფილების უფროსია.

1992 წლიდან საგარეჯოს რაიონული გამგეობის შრომის რაიონული ბირჟის მთავარი სპეციალისტია.

1995 წელს მუშაობას იწყებს საგარეჯოს რაიონული გამგეობის განყოფილების ეკონომიკური განყოფილების გამგედ.

2001-2005 წლებში ოჯახური მდგომარეობის გამო ცხოვრობდა გერმანიაში.

2005 წლიდან ბრუნდება საქართველოში და კერძო სექტორის მთავარი ბუღალტერია.

2013 წელს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრია.

2014 წლის 14 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში პარტიული სიით დღეს საკრებულოს დეპუტატია.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

**კომისიის** წევრები არიან: ზურაბ ქურთიშვილი, ნიკო გიუაშვილი, ვანო ბეჟიაშვილი, დავით არაბული, თამაზ ხუროშვილი, ფადირხან ხეირხაბაროვი.

***– ბ-ნო ნოდარ, თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის უფლებამოსილება...***

– დავიწყებ იმით, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საკრებულოს მიერ მიღებული დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებით საკრებულოს სხდომებისათვის წინასწარ ამზადებს მთელ რიგ საკითხებს, ამასთან ზრუნავს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობისათვის, რათა განხორციელდეს გამგეობის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე კონტროლი.

რაც შეეხება კომისიის უფლებამოსილებას, იგი აკონტროლებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს. ამასთან, კომისიამ უნდა განიხილოს თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს გაანგარიშებები შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები, შევიმუშაოთ შესაბამისი დასკვნები და მივცეთ რეკომენდაციები. კომისია სხდომებზე განიხილავს, ამზადებს დასკვნას და თანამომხსენებლად გამოდის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისას, ასევე, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვაზე.

კომისიამ ყოველთვიურად უნდა განიხილოს ბიუჯეტის ყოველთვიური განწერა, ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები, ნაშთის ცვლილებები, მთლიანი სალდოს ჩვენებით წარმოდგენილი ანგარიში, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები, წინადადებები და წარუდგინოს საკრებულოს. აქ, ამ შემთხვევაში კომისიის მუშაობა ძირითადად უნდა წარიმართოს საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 82-ე, 84-ე, 85-ე მუხლების შესაბამისად. საინტერესოა ისიც, რომ კომისიამ უნდა შეიმუშაოს წინადადებები

*დასასრული მე-3 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# საფინანსო-საბიუჯეტო კომისია



**დასასრული**

და დასკვნები ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათზე შეღავათების დადგენის, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრისათვის. მნიშვნელოვანია კომისიის მუშაობაში ადგილობრივ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის შექმნისა და მისი განკარგვის წესებისათვის წინადადებების შემუშავებაც და დასკვნების გაკეთებაც. კომისიამ უნდა განიხილოს და საკრებულოს წარუდგინოს დასკვნა თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის ან გრანტის აღებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ უნდა განიხილოს და დასკვნა საკრებულოს წარუდგინოს საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებაზე მუნიციპალური ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრისათვის, აგრეთვე ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების პროექტის ირგვლივ. კომისია ასევე იხილავს ადგილობრივი შესყიდვის გეგმას და შემდეგ დასკვნას აწვდის საკრებულოს თავმჯდომარეს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას აქვს კიდევ მთელი რიგი უფლებამოსილებანი, რომლებიც საპასუხისმგებლოა იმდენად, რამდენადაც ეს შეეხება თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების განხილვას და შემდეგში შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარდგენას.

***— თქვენ საუბრის დასაწყისში გვითხარით, რომ კომისია აკონტროლებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მომზადების პროცესს. რას იტყვით, როგორ ახდენს კომისია კონტროლს ამ პროცესზე. როგორ ხდება ბიუჯეტის მომზადება, ვინ მონაწილეობს მის განხილვაში, თუ ერთპიროვნულად ხდება მისი მომზადება?***

— მომავალი, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი 15 ნოემბრიდან საკრებულოს ხუთივე კომისიაში, რვავე ფრაქციასა და თითოეულ დეპუტატამდე მივიდა. ჩვენ, დაწყებული თითოეული დეპუტატიდან, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თითოეულმა წევრმა ეს პროექტი 25 ნოემბრამდე უნდა განვიხილოთ (ინტერვიუ ჩაწერილია 20 ნოემბერს – თ.ი.). კომისიის თითოეულმა წევრმა უნდა გამოვთქვათ ჩვენი შენიშვნები, წინადადებები, მივცეთ რეკომენდაცია და დავუბრუნოთ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, სადაც შენიშვნების, წინადადებების შემთხვევაში ხელმეორედ გადაიხედება, დამუშავდება და საბოლოო სახეს მიიღებს იგი. შემდეგ კი, ბიუჯეტი განსახილველად კვლავ შემოვა ჩვენს კომისიაში. ასე, რომ მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტი მხოლოდ ერთი ადამიანის, ერთი სამსახურის თანამშრომელთა მიერ ვერ შედგება – მასში იმდენად ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი და ნიუანსია გასათვალისწინებელი, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდეც უნდა მოვუსმინოთ, მივუთითოთ, თუ საჭირო იქნება შესწორებები შევიტანოთ და საკრებულოზე ისეთი სახით წარვადგინოთ, რომ შემდეგში მთელი წლის განმავლობაში აღარ დაგვჭირდეს მასში ცვლილებების შეტანა, როგორც ეს მიმდინარე წელს მოგვიწია.

***— საკრებულომ ივლისში პირველი სხდომა ჩაატარა. მას შემდეგ უკვე რამდენიმე სხდომა ჩატარდა. თითქმის ყველა სხდომაზე გამოტანილი იყო საკითხი, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ იყო შესწავლილი, განხილული და რეკომენდაცია მიცემული. თითოეულ სხდომაზე გამოჩნდა, რომ ყველაზე მეტად საქმიანი, დატვირთული თქვენი კომისია იყო.***

— დიახ, მართალია. ძირითადად საკითხები გამოტანილი იყო 2013 წლის 27 დეკემბრის საკრებულოს №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ბიუჯეტი იყო არასწორად დაგეგმილი, დიახ, არასწორად. თუნდაც ის, რომ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის დასუფთავების სფერო მხოლოდ 9 თვით იყო დაფინანსებული. მართლაც საინტერესო იყო, დანარჩენ 3 თვეს ალბათ ქალაქი და მისი მიმდებარე სოფლებიც საყოფაცხოვრებო ნარჩენებით აივსებოდა. იძულებული გავხდით მოგვეძია ის 97 ათასი ლარი, რომელიც დასუფთავების სფეროს სამი თვით დაფინანსებას შეძლებდა და ჩვენ მოვახერხეთ და ის სამი თვეც დაფინანსდა. საამისოდ, როგორც იცით, 97 ათასი ლარი მოვიძიეთ. ამასთან ქალაქის, მისი შემოგარენის და სოფლების დასუფთავებაში მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ ქალაქის, სოფლების მოსახლეობა, სკოლების მოსწავლეები. 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები სოციალურ სფეროში გახარჯული იყო 7 თვეში, რის გამოც შეიქმნა ვაკუუმი, სოციალურად დაუცველთა დახმარების საქმეში. ჩვენ მიზანმიმართულად ვიმუშავეთ, მოვიძიეთ 50 ათასი ლარი, რომელიც მუხლობრივად აუცილებლობით იყო გამოწვეული და აქედან 41300 ლარი მივმართეთ სოციალურად დაუცველი პირების სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციებისა და ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის.

ხშირია აუცილებლობით გამოწვეული ცვლილებების შეტანის შემთხვევები, რადგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილებში ზიანდება ტუმბო, სხვადასხვა მოწყობილობები, სასმელი წყლის მილები თუ სათავე ნაგებობები. ჩვენ ასეთ შემთხვევაში საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის (თავმჯდომარე ელდარ მეფარიძე) წევრებთან ერთად ადგილზე ვსწავლობთ შექმნილ მდგომარეობას და საერთო დასკვნის შემდეგ ვახდენთ ჯერ კომისიაში განხილვას და შემდეგ საკრებულოს სხდომაზე მის გატანას.

***— ბიუჯეტის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წილი სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან შემოსულ გადასახადებს ეკუთვნის. რვა თვის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მხოლოდ 64 %-ით იყო შესრულებული. 10 თვის მონაცემებით – 71%-ით...***

— დიახ. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ მიმდინარე წელს საკმაოდ გვალვიანი იყო ზაფხული, ფერმერმა ვერ მიიღო მოსავალი, ამდენად მიწის გადასახადის გადახდაც უჭირს, მაგრამ... ***თუ ვერ გადაიხადა, მოგეხსენებათ, ჩვენი მუნიციპალიტეტი არ არის სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადებული და ამდენად, ვერავინ გათავისუფლდება აღნიშნული გადასახადისაგან. ფერმერს დაერიცხება საურავი და მომავალ წელს კიდევ არავინ იცის, როგორი იქნება მოსავალი, რა ციფრს მიაღწევს საურავიანად ორივე წელს საგადასახადო დავალება.*** ისე თერთმეტი თვის მონაცემებით ბიუჯეტი 71 %-ით შესრულდა. გეგმა წლიური შემოსულობებისა იყო 12. 416 ათასი ლარი, ამ თვეში კი შემოსულობებმა შეადგინა 8815 ათასი ლარი. აქედან, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საგადასახადო დავალება იყო 800 ათასი ლარი, შემოვიდა 543 ათასი ლარი (თითქმის 68%), არასასოფლო მიწებიდან კი 50 ათასის ნაცვლად განვლილ 10 თვეში 14.400 ლარია შემოსული, რაც გეგმის 29 %-ია. გვაქვს იმედი, რომ ეს ციფრები 100%-ის მაჩვენებლით გვექნება წლის ბოლო თვისათვის. როგორც იცით, საკრებულომ შექმნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) აღრიცხვის კომისია, რომელმაც 15 მარტამდე უნდა მოახდინოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების აღრიცხვის მდგომარეობა. ვნახოთ, ესეც ბიუჯეტის გაზრდის რესურსი იქნება სამომავლოდ.

***— ახლა მახსენდება, წლების განმავლობაში საკრებულოს სხდომებზე დეპუტატი ზურაბ ქურთიშვილი (ახლაც თქვენი კომისიის წევრია) აყენებდა საკითხს და ახლაც საკრებულოს პირველივე სხდომაზე დააყენა საკითხი – მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწების „არალეგალურად“ მფლობელ ფერმერებს არსად აქვთ დარეგისტრირებული მიწები, მაგრამ ამუშავებენ და არც საგადასახადო დავალებას ასრულებენ, რის გამოც ბიუჯეტი ზარალდება...***

— დიახ, ეს ყველაფერი ცნობილია. როგორც ჩვენი ქვეყნის მთავრობა გვპირდება, სწორედ ასეთი ადამიანების გამოსავლენად მალე მოხდება მიწების საყოველთაო აღწერა და გასაკვირი აღარ იქნება, თუ ასეთი ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება დღის წესრიგში და დადგება საკმაოდ მკაცრადაც.

***— და კიდევ ერთი საკითხი. თქვენი კომისიის უფლებამოსილების შესახებ საუბრისას გვითხარით, რომ კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები და დასკვნები გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათზე შეღავათების დადგენის, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების შესახებ. წინა სხდომაზე სწორედ ასეთი უფლებამოსილების განხორციელებამ გამოიწვია ოპონენტთა მხრიდან გამოხმაურება. კონკრეტულად, საქმე ეხება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ 2007 წლის 17 მარტის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაცემებით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების (რომლებიც მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს) მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.***

— დიახ. ჩვენმა კომისიამ ჯერ კომისიის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი, შემდეგ ბიუროს სხდომაზე და ბოლოს საკრებულოს სხდომაზე წარვადგინეთ საკრებულოს წინაშე. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული შპს ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით განახორციელებს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების გასატარებლად არსებული პრობლემის მოგვარების საკითხით დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. ამასთან ეს სამუშაოები უნდა შესრულდეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც დასაქმებული იქნებიან ჩვენი მოსახლეობა და რა თქმა უნდა, საშემოსავლო ნაწილიდანაც გარკვეული თანხა შევა ბიუჯეტში, ასევე დამატებითი ღირებულებისა და მოგების გადასახადები. საიდანაც გრანტი ისევ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გვეძლევა.

მინდა გითხრათ, რომ დღის წესრიგში დგება 2007 წლის 17 მარტის საკრებულოს №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. აღნიშნულ დადგენილებაში მოსაკრებლის რაოდენობის შესახებ მითითებულია მხოლოდ ახლადასაშენებელ ობიექტებზე, რაც შეეხება მიწის სამუშაოების შესრულებაზე, აქ არ არის მითითებული, არადა გასათვალისწინებელია ის, რომ მიწის სამუშაოები სრულდება წყლის, ბუნებრივი აირის, ახალი საკანალიზაციო სისტემის გასაყვანად. აქ კი არ არის დაკონკრეტებული, რა გადასახადი შეიძლება გაიწეროს აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე.

***— და კიდევ ერთი. საკრებულო კომისიაში იწვევს სპეციალისტს, რომელსაც ჰქვია „მოწვეული სპეციალისტი“. ვინ არის თქვენს კომისიაში ასეთი?***

— დიახ. ჩვენს კომისიაში მოწვეულია ბუღალტერი ვაჟა (გოდერძი) ჯავახიშვილი.

ბოლოს მე მინდა ჩვენი რაიონის მოსახლეობას, ჩვენს ამომრჩეველს მივცე პირობა, რომ რაიონის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულო მთლიანად ორიენტირებულია მოსახლეობის სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე და კიდევ ერთხელ ვდებ პირობას საკრებულოს და მისი თავმჯდომარის ბატონ ფრიდონ ბურდულის სახელით, რომ არც ერთი თეთრი არ იქნება გახარჯული არამიზნობრივად.

---

**ჩვენს მუნიციპალიტეტში**

## ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი სოფელში

# „სოფელი ღონიერია“...

## უჯარმა

**უჯარმის** თემში შემავალ სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით რამდენიმე პროექტი უნდა განხორციელებულიყო მიმდინარე წელს. მათგან, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი სასმელი წყლის გაყვანილობის მოწესრიგება და მოსახლეობამდე გამართული სისტემით მიყვანა იყო.

წლების განმავლობაში უჯარმის მოსახლეობისათვის პრობლემას წარმოადგენდა ე.წ. „ლაფიანთ ხევის“ სათავიდან სოფელში შემავალი სასმელი წყლის მილების სისტემატური დაზიანება, რაც ხელს უშლიდა მათ სასმელი წყლით მომარაგებას და ხშირად სასმელი წყალი მილების ადგილ-ადგილ დაზიანების გამო უხარისხო, გამოუყენებელი ხდებოდა. სწორედ აღნიშნული წყლის მილების შეცვლა მოხერხდა შემოდგომის დაწყებისთანავე.

სოფელ პალდოში შემოიღობა სასაფლაო და მოიხრეშა სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;

მუხროვანში შემოიღობა სარწყავი სისტემა (ე.წ. „ბასეინი“).

მაგრამ სოფლებში გასაკეთებელი კვლავაც ისეთი ბევრი რამ რჩება, რომელიც დროს არ ემორჩილება და როგორც იტყვიან, „საქმეც ვერ იცდისო“-ო...

სწორედ ასეთი პრობლემების მოგვარებას შეუდგა უჯარმის თემში ***გამგებლის წარმომადგენელი დავით აბელაშვილი*** 29 აგვისტოდან, დღიდან ამ თანამდებობაზე დანიშვნისა. მაგრამ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთან საუბარში დათო სოფელში გაკეთებული ყველა საქმის სულისჩამდგმელად და მთავარ



დავით აბელაშვილი

მონაწილედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, უჯარმის თემის დეპუტატს **კონსტანტინე (კოტე) ღოღელიანს** ასახელებს. და თითქოს ამ ნათქვამის „დასადასტურებლად“ თავად კოტე შემოდის გამგებლის წარმომადგენლის სამუშაო ოთახში სამუშაო ტანსაცმლითა და ჩვენს დანახვაზე ცოტა დარცხვენილი ღიმილით გვეუბნება: სანატორიუმის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემაა დაზიანებული და ჩვენი – უჯარმელი ბიჭების დახმარებით უნდა შევაკეთოთო და გამგებლის წარმომადგენელს ჩვენთან სასაუბროდ „ტოვებს“. და სამი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ „ანგარიშს“ გვაბარებს დათო:

– უჯარმაში ე.წ. „გარადოკის“ დასახლე-

*დასასრული მე-3 გვერდზე*

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ანგარიშს აბარებს გამგებლის წარმომადგენელი სოფელში

# „სოფელი ღონიერია“...


კონსტანტინე დოღელიანი

**დასასრული**

ბაში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემიდან მთელი მასა ერთ-ერთი მოსახლის საცხოვრებელ ეზოში შედიოდა და მართლაც აუტანელი ხდებოდა მათი საცხოვრებელი პირობები. უჯარმელები გვერდში დაუდგნენ დეპუტატსაც და გამგებლის წარმომადგენელს და ტექნიკის დახმარებით აღნიშნულ მოსახლეს დიდი ხნის პრობლემა როგორც იქნა მოუგვარდა.

– უჯარმელებს ვენახებთან მისასვლელი გზა იმდენად ჰქონდათ დაზიანებული, რომ დიდი დაბრკოლებების დაძლევა უხდებოდათ იქ მისასვლელად. აქაც ტექნიკა ჩარიეს, მოაწესრიგეს გზა 3 კილომეტრზე.

– მთელ რიგ უბნებში იმდენად იყო დაზიანებული სოფლის გზები, ქვეითად მოსიარულესაც უჭირდა გავლა და ავტომანქანებსაც. ეს საუბნო გზები როგორც იქნა მოწესრიგდა, მოიხრეშა; ჯერჯერობით საამისოდ 15მ$^3$ ინერტული მასალა (ხრეში) გამოიყენეს.

– ე.წ. „უჯარმის ხევის“ გასწვრივ წყლისგან დაჭაობებულ ადგილებზე ტრაქტორსაც უჭირდა გავლა. აქ ერთ ადგილას საცალფეხო ბილიკით უკავშირდებოდა შვიდი ოჯახი მარჯვენა მხარეს, თანაც მდინარის გავლაც უხდებოდათ. მაგრამ, ტექნიკის საშუალებით საცალფეხო ბილიკი საავტომობილო გზად იქცა – მოიხრეშა და მდინარეზე გადასასვლელი ხიდიც გაკეთდა;

– სოფლის მოსახლეობამ რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა სოფლის, უჯარმის ციხისა და მისი შემოგარენის დასუფთავებაში.

სოფლის ქვემო უბნის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება იმ ცენტრალური მაგისტრალური ხაზით ხდება, რომელიც



დამეწყრილ ადგილზე გადიოდა და ნელნელა იქმნებოდა საშიშროება მისი მნიშვნელოვნად დაზიანების, მაგრამ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით მოხერხდა აღნიშნული მაგისტრალური ხაზის ამ ნაწილიდან უსაფრთხო ადგილზე გადატანა (სამუშაოები ჩაატარა


საცალფეხო ბილიკი ქუჩად იქცა

ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილმა“) და ამასთან, მოსწორდა და გაკეთდა გზა, რომელიც უჯარმელებს მათ სალოცავ „მარიამთან“ აკავშირებთ...

როგორც გამგებლის წარმომადგენელი ამბობს, სოფელში კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. როგორც ის იმედოვნებს, ამ პრობლემის მოგვარებაში უჯარმელები კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

სადღეისოდ კი გამგებლის წარმომადგენლისა და დეპუტატისათვის საფიქრალს ის ორი პატარა წარმოადგენს, რომლებიც სოფელ მუხროვანიდან უჯარმის საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების კლასში


სალოცავ „მარიამისკენ“ მიმავალი გზა

ფეხით დადიან. მალე თოვლსაც ჩამოყრის, ის ორი პატარა კი ყველა გამვლელ-გამომვლელი მანქანის მძღოლს უნდა ენდოს, ან ფეხით მოუწევთ ისევ სიარული?! თუმცა, ორივე ყველაზე კარგად იცნობენ დათოსა და კოტეს მანქანებს...

## გომბორი

**მთიანი**


ნოშრევან ნეკრესელაშვილი

სოფელი თავისი მძიმე რელიეფური მდგომარეობითა და კლიმატური პირობებით აქაურ მაცხოვრებლებს ბევრ ყოფით პრობლემას უქმნის. ძლიერმა წვიმებმა, უხვნალექიანმა ზამთარმა შეიძლება ისეთი საკითხები წამოჭრას, რომელსაც დროის იმ გარკვეულ მონაკვეთში ვერც ითვალისწინებს ადამიანი. ამიტომ, მთის სოფლებისათვის დღესდღეობით სოფლებს შორის დამაკავშირებელი, უბნებს შორის არსებული პატარა გზების მოუწესრიგებლობა, სასმელი წყლის მაგისტრალური მილების თუ საუბნო მილების დაზიანება რჩება მუდმივ პრობლემად. სწორედ ამ პრობლემებზე მესაუბრება გომბორის თემის ახლადდანიშნული ***გამგებლის წარმომადგენელი* ნოშრევან ნეკრესელაშვილი**, რომელიც 2012 წლამდეც რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ამავე თემის რწმუნებული. ნოშრევანისთვის ის პრობლემები, რაც დღეს თემის თითოეულ სოფელშია, კარგა ხანია ნაცნობია და მისი მოგვარების გზებიც იცის. ეგ არის ამ პრობლემის მოგვარებას ტექნიკა და გარკვეული ფინანსური შესაძლებლობები სჭირდება. მისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი ამჯერად სოფელ რუსიანში მისასვლელი გზის მოხრეშვაა, რომელიც სოფლის პროგრამით იყო გათვალისწინებული. გამოყოფილი იყო თანხაც, მაგრამ... დღესდღეობით აქ არაფერი გაკეთებულა. ასევე, გომბორშიც და სხვა სოფლებშიც მოსახრეშია გზები, გასაკეთებელია სანიაღვრე არხები.

გომბორში სასმელი წყლის მილები რამდენიმე ადგილას დაზიანებული იყო, ადვილი არ იყო უბნების მოსახლეობის სასმელი წყლის გარეშე დატოვება, ამიტომ გამგებლის წარმომადგენელმა ***თემის დეპუტატთან* დათო არაბულთან** ერთად ეს პრობლემა ისე მოაგვარა, რაიონის ხელმძღვანელობა არც შეუწუხებიათ საჭირო დაფინანსებისათვის. დღეს კი, გომბორში ჩვენი სტუმრობის დღეს (20 ნოემბერი) ადმინისტრაციული შენობის ეზოს ღობე, რომელიც ადრე თითოროლა ფიცრით იყო შეკრული, აღებული


დავით არაბული

დაგვხვდა, – ჩვენი ძალებით, გომბორელი ახალგაზრდების დახმარებით უნდა შემოვავლოთ ახალი ღობე, თორემ ავტომაგისტრალი, რომლითაც უცხოელი ტურისტები კახეთთან დასაკავშირებლად სარგებლობენ, სწორედ ჩვენი ადმინისტრაციული შენობის წინ გადის. უხერხულია, ღობეშემოძარცვული შენობა, რომელშიც წარმომადგენლობის გარდა, არის საექიმო ამბულატორია, სასწრაფო დახმარების ბრიგადა, კლუბი (გაუქმებული), სასოფლო ბიბლიოთეკა (ამჟამად გაუქმებული, მაგრამ წიგნადი ფონდით), – მეუბნება გამგებლის წარმომადგენელი,– ჩვენი სოფლის საჯარო



სკოლის შენობაც ნაწილობრივ გარემონტებულია – გარედან, გამოცვლილია კარ-ფანჯარა (გარე ხედი), გაკეთებულია რემონტი შესასვლელ ფოიეში, მაგრამ თქვენც ნახეთ, რა მდგომარეობაშია დანარჩენი ყველაფერი. ვნახოთ, მომავალი წლიდან იმედი გვაქვს, პრობლემები ნელ-ნელა მოგვარდება.

## უდაბნო

**ასეთი**


ჯამბულ მარგველანი

გვალვიანი, უწყლო უდაბნო თვით უდაბნოს უხუცესებს – მარტიაშვილებსაც კი არ ახსოვთ. დიახ, მარტიაშვილები აქ 1947 წლიდან ცხოვრობენ, სწორედაც რომ ისინი არიან ძირძველი უდაბნოელები.

წლებია, უდაბნოელები სასმელი წყლის ნაკლებობას კი არა, დეფიციტს განიცდიან, თუმცა, არც საყოფაცხოვრებო მოხმარების წყლით არიან განებივრებული – ცას და წვიმას, თოვლს შესცქერიან საამისოდ. აგვისტოს ბოლოსთვის ***გამგებლის წარმომადგენლად*** უდაბნოში **ჯამბულ მარგველანი** დაინიშნა. მან, როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებელმა, ყველაზე კარგად იცის სოფლის გასაჭირი. ერთმანეთს მხარში დაუდგნენ სოფლის ***დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში* ლექსო იოსელიანი,** სოფლის ახალგაზრდობა, სოფლის მცხოვრებნი და ერთი ის მოახერხეს – წლების წინ „მილიონებჩაყრილ“ პალდოდან ვითომ უდაბნომდე ჩამოყვანილ (რომლითაც სართიჭალელებმა უფრო იხეირეს) წყალასადენიდან წყალი ხელით სამუშაოების შესრულების შემდეგ, როგორღაც უდაბნოში არსებულ პატარა ტბაში ჩაუშვეს პირუტყვისათვის. ესეც დიდი შეღავათია დღეს უდაბნოელებისათვის.

სოფლის მისასვლელ გზაზე გაზაფხულზე ახლადჩაყრილი ნერგებიდან ზოგმა იხარა, უმეტესობა კი გახმა ზაფხულის თაკარა მზისაგან, სწორედ გამხმარი ნერგების ადგილი შეავსეს 15 ნოემბერს ერთსულოვნად ნერგების დასარგველად გამოსულმა უდაბნოელმა მოსწავლეებმა, ახალგაზრდობამ გამგებლის წარმომადგენლისა და დეპუტატის თაოსნობით. ახლა ყურადღებით არიან, დიდი სურვილი აქვთ მათ მიერ დარგულმა 1300-მავე ნერგმა გაიხაროს.

სოფლის ლიდერი ქალების თაოსნობით (ჯგუფის ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი) საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თანადგომით სოფელ უდაბნოში გაკეთდა პროექტი „ბედნიერი ბავშვობა“. საჯარო სკოლის მოპირდაპირე მხარეს და საექიმო ამბულატორიის გვერდით გამოიყო ადგილი, სადაც გაშენდა სკვერი. აქ უდაბნოელ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ თავისუფალი დროის ლამაზად გატარება – სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობა. სოფლის ქალებს, აღნიშნული საინიციატივო ჯგუფის წევრებს აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ჯამბულ მარგველანმა და ლექსო იოსელიანმა.

სოფელში „რეგიონული განვითარების“ პროექტის ფარგლებში შენდება სკოლამდელი დაწესებულების ახალი შენობა, სადაც უდაბნოელი პატარები ორიოდე თვეში ახალმოსახლეობას იზეიმებენ. მანამდე კი ისინი ძველი ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე არიან განთავსებული.

დიდი მოლოდინით ელოდება სოფელი ნორჩი აღსაზრდელების ახალმოსახლეობას, რადგან, როგორც გამგებლის წარმომადგენელმა და სოფლის დეპუტატმა მითხრეს, იმ ორსართულიან შენობაში დიდი სიხარულით იზეიმებენ საკუთარი თავშესაფრის გაჩენას უდაბნოელი ძიუ-დოს სექციის ძიუდოისტები, ფოლკლორული ანსამბლი „კასლეთილა“, თავად გამგებლის წარმომადგენელი სოფელში და დეპუტატი, რომელთაც საშუალება ექნებათ ნორმალური მუშაობის და სოფელსაც ექნება სოფლის კრებების


ლექსო იოსელიანი

ჩასატარებელი ადგილი. ამიტომაც ხშირად სტუმრობენ ისინი მშენებლებს, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან და თვალყურს ადევნებენ მათ მუშაობას.

რაც შეეხება სოფელში რიტუალების სახლისთვის საბოლოო სახის მიცემას, აქ კვლავ რჩება პატარ-პატარა კოსმეტიკური სახის სამუშაოები.

გასაკეთებელია სოფლის გზები, ქუჩები, გარე განათებები და რაც ყველაზე მტკივნეული და „გრანდიოზული“ პრობლემაა, ესაა სასმელი წყლის მთლიანი სისტემის შეცვლა, რომელიც სოფელ თოხლიაურიდან სოფელ უდაბნომდე 35 კილომეტრი სიგრძისაა. გასული საუკუნის 80-იან წლებში გაკეთებული სისტემა ვეღარ უძლებს ვერც „ჟამთა სრბოლას“ და ვეღარც მილსადენთან ახლოს განლაგებულ მეცხოველეობის ფერმების მეპატრონეთა თვითნებურად დაზიანებას – მათაც სჭირდებათ წყალი – უწყლოდ ხომ არ ამყოფებენ პირად საკუთრებაში არსებულ პირუტყვს?! სწორედ ამ დაზიანებების გამოსწორებაა უდაბნოელი თავკაცებისათვის 2014 წელში პრობლემის „აქილევსის ქუსლი“. ვნახოთ, მოდის 2015 წელიც...



# დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო მეხანძრეები

## თუმცა, ყველა ერთმნიშვნელოვნად კარგია

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახური ერთ მუშტად შეკრული, თავიანთი საქმის მცოდნე და ერთგული პროფესიონალი მუშაკებითაა დაკომპლექტებული. მათ არაერთხელ უსახელებიათ თავი როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე სხვა რეგიონების მოსახლეობისა თუ სახალხო ქონების გადარჩენის საქმეში. ვინ მოთვლის, რამდენი შენობა-ნაგებობა, ვენახები და საძოვრები, ტყისა და ჭალისპირა სავარგულები გადაურჩენიათ სრული დაწვისა და განადგურებისაგან მათ მადლიან მარჯვენას. პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება და თავდადება – ეს ის მახასიათებლებია, რომლითაც გამოირჩევა სამსახურის თითოეული მუშაკი, თუმცა მათ შორის არიან გამორჩეული მუშაკებიც, რომლებიც მაგალითის მიცემი და მოწინავენი არიან ხანძართან ბრძოლისა თუ სხვა სამაშველო სამუშაოების შესრულებისას. სწორედ ასეთი მეხანძრეების წარმოჩენა დაისახეს მიზნად ***სამსახურის უფროსმა ზაქარია ოტიაშვილმა*** და სხვა



სამახსოვრო ფოტო



დაჯილდოება

ხელმძღვანელმა მუშაკებმა, რომელთაც პირადად სამსახურის მუშაკებს სთხოვეს დაესახელებინათ 3-3 ასეთი მუშაკი. საბოლოოდ სამი ცვლიდან მეხანძრეებმა შეარჩიეს და დაასახელეს 10 ასეთი თანამებრძოლი. ესენი არიან მძღოლები: ივანე თამაზაშვილი, გურამ ალექსაშვილი, გიორგი ხიზანიშვილი, მეხანძრეები: ჯემალ ოსიაშვილი, გაიოზ ბეციაშვილი, ბექან ილაური, ხვიჩა გუგუტიშვილი, დავით რუსიშვილი, გივი ხატიაშვილი, მეელსმენე ლევან კუჭუაშვილი. წლის ბოლომდე დარჩენილი დროის გათვალისწინებით, ფაქტიურად დასახელდნენ წლის საუკეთესო მეხანძრეები, რომლებიც სამსახურის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგინა. თავის მხრივ მუნიციპალიტეტის გამგეობამ

*დასასრული მე-6 გვერდზე*

**ერთად იზეიმეს**

# ერთი ლამაზი ფერადი დღე — შემოდგომისა და „ჰელოუინის“ დღესასწაული

**2014 წლის** 31 ოქტომბერს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში გაიმართა შემოდგომისა და ჰელოუინის დღესასწაული,. ღონისძიება კომპლექსური ხასიათის გახლდათ და მოიცავდა ბავშვთა საშემოდგომო ნახატების გამოფენას, საშემოდგომო ნობათით კუთხეების მოწყობას, თეატრალიზებულ სანახაობებს და უფროსკლასელთა № 1 ინტელექტთამაშს.

ღონისძიება მომზადდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „თინეიჯერი ლიდერთა კლუბის", მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი გაერთიანებისა და მოსწავლეთა მიერ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეს ანჯელინა დოროშის და საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის ასევე „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეს ანიკა ვალკის მხარდაჭერით.. მათ წინასწარი რამდენიმე ძალიან საინტერესო პრეზენტაციები გააკეთეს, ლიდერთა კლუბისათვის“„ჰელოუინთან“ დაკავშირებით, ვინაიდან იგი უხვი და ბარაქიანი შემოდგომის მიწურულს აღინიშნება, ამიტომ გადავწყვიტეთ სწორედ 31 ოქტომბერს ღია ცის ქვეშ მოგვეწყო ღონისძიება. ეს იყო მეტად ფერადი და ლამაზი დღე , კულტურათა შერწყმა... ბერიკების ნიღბებიანი და ჰელოუინისათვის დამახასიათებელი კოსტიუმირებული სანახაობა ერთობ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

ძალიან საინტერესო, მრავალფეროვანი, ბარაქიანი კუთხეები წარმოადგინეს საგარეჯოს № 4, თოხლიაურის, ხაშმის, გიორგიწმინდის და უჯარმის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, მთელს ტერიტორიაზე მოეწყო საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ხატვის კლუბის და სკოლების მოსწავლეთა საშემოდგომო ნახატების გამოფენა, კოსტუმირებული მსვლელობა გახსნეს საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის პატარა მონაწილეებმა პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად.

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის საბავშვო თეატრის მოსწავლეებმა მარიამ დურგლიშვილმა, ეთერ ტეტიაშვილმა, მარიამ ტიგინაშვილმა და ლიკა დარისპანაშვილმა მეტად ხალისიანად წაიყვანეს პროგრამა.მათ უამბეს თანატოლებს ჰე-





ლოუინის შესახებ, რომელიც კელტური კულტურიდან – ირლანდიასა და შოტლანდიიდან იღებს სათავეს და ზამთრის სეზონის რიტუალს უკავშირდება. ეს ერთგვარი „ახალი წელია", რომელიც ძველის დასასრულსა და ახალი სეზონის დაწყებას აღნიშნავს... რომელიც 31 ოქტომბრის ღამეს და 1 ნოემბრის დღეს აღინიშნება. ირლანდიელი პატარები, კარდაკარ დადიან და ჩვენი „ჭონასა" და „ალილოს" მსგავსად საჩუქრებს --- ძირითადად ტკბილეულს იღებენ მასპინძლებისაგან.

სანახაობა, რომელსაც ამ დროს ბავშვები წარმოადგენენ, ასევე, წააგავს ჩვენებურ ბერიკაობას და ჭიაკოკონობას. სწორედ ამიტომ ბერიკაობის სცენით გაიხსნა სანახაობა.

შემდეგ კი თითოეულმა მონაწილე სკოლამ წარმოადგინა მხიარული პერფომანსები, რომლებიც ქართული დღესასწაულებისა და „ჰელოუინის“ შერწყმას წარმოადგენდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა.

მხიარული სანახაობა უფროსკლასელთა რიგით № 1 ინტელექტთამაშმა შეცვალა, რომელსაც ტრადიციულად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი ბადრი დრეიძე უძღვებოდა. 1 თამაშის გამარჯვებული საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა...

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს ოთხივე, თოხლიაურის, გიორგიწმინდის, დიდი ჩაილურის, უჯარმის, ხაშმის, წყაროსთავის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის, საგარეჯოს კულტურის სასახლესთან არსებული ბავშვთა გიტარის შემსწავლელი წრის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების მოსწავლეები.

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია მადლობას უხდის საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექციას, მონაწილე სკოლების დირექციებს და პედაგოგებს პროექტის მხარდაჭერისათვის . განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მოხალისეებს და „ლიდერთა კლუბის“ წევრებს...

*თამარ ჯაბადარი,*

***საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი***

# დაჯილდოვდნენ საუკეთესო მეხანძრეები

## თუმცა, ყველა ერთმნიშვნელოვნად კარგია

**დასასრული**

გაითვალისწინა სამსახურის ხელმძღვანელობის დამსახურება და აღნიშნულ 10 მეხანძრესთან ერთად სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა სამსახურის უფროსი ზაქარია ოტიაშვილი და მისი მოადგილე ფრიდონ ბეჟიაშვილი. ჯილდოების გადაცემის ცერემონია უშუალოდ სახანძრო-სამაშველო სამსახურში განხორციელდა, სადაც დასაჯილდოებელ მეხანძრეებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები პირადად მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორგი გზირიშვილმა გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი საგარეჯოელ მეხანძრეებს მორიგ ხანძართან მოუხდათ გამკლავება. 8 ნოემბერს მათ გამოძახება მიიღეს გიორგიწმინდელი ვაჟა ხოსიტაშვილის ორსართულიან ბინაში გაჩენილი ხანძრის გამო, რომელიც მალე ჩააქრეს. იმავე საღამოს მათ გამოძახება უჯარმიდან მიიღეს, სადაც იწვოდა კახა ჭუნაშვილის საკუჭნაო. უჯარმელების დახმარებით ხანძარზე გასულმა ეკიპაჟმა აქაც მოკლე დროში მოახერხა ხანძრის ლიკვიდაცია.

სულ წლის დასაწყისიდან საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურს შესრულებული აქვს 200-ზე მეტი სამაშველო ოპერაცია, აქედან მარტო ხანძარზე 120-ზე მეტი გასვლა, რომლებიც ყოველთვის მათი გამარჯვებით განხორციელდა. საგარეჯოელ მეხანძრეებს და მათ ხელმძღვანელს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ყვარლის ტყეებში გაჩენილი ხანძრის ქრობაში, რომელსაც შემოდგომის დასაწყისში ჰქონდა ადგილი.

*გ. დაბახიშვილი*

***ლია კოხტაშვილის ფოტოები***



## ჯანმრთელობა

# აცრები წითელაზე დაწყებულია



**ცნობილია**, რომ 2013 წელს საქართველოში დაიწყო წითელას დაავადების აფეთქება. პირველი შემთხვევები გაჩნდა თბილისში, შემდეგ გავრცელდა რეგიონებში, მათ შორის საგარეჯოშიც.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველი შემთხვევები გამოჩნდა გასული წლის მარტის თვეში. დაავადება ძირითადად გავრცელდა აუცრელ და აცრაგამოტოვილ კონტიგენტში.გასულ წელს რაიონში დარეგისტრირდა წითელას 114 შემთხვევა. ჩატარდა დიდი სამუშაო.თითოეულ კერაში ჩატარდა ეპიდემოლოგიური–კვლევა. კონტაქტირებულებს მთავრობის დადგენილების თანახმად ჩაუტარდათ აცრები. ასევე ,ერთი დამატებითი დოზით აიცრა 1–13 წლის აცრაგამოტოვილი ბავშვები და 14 წლის ასაკის ყველა ბავშვი. აღნიშნულმა სამუშაოებმა შედეგი გამოიღო, შემთხვევათა რაოდენობამ იკლო, მაგრამ სრულად არ გაქრა. ამიტომ საქართველოს მთავრობის №1148 (26.06.2014) განკარგულების „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებების შესახებ“ თანახმად გადაწყდა: ***აიცრან ის ბავშვები, ვისაც 15 წლამდე 2–აცრაზე ნაკლები აცრა აქვს და 15–დან 29 წლის ჩათვლით – მასიურად***. ასაცრელი მასალითა და ერთჯერადი შპრიცებით ყველა ამცრელი უბანი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ.

მინდა აღვნიშნო, რომ 15–29 ასაკის კონტიგენტი ძნელად დასაყოლიებელი აღმოჩნდა ასაცრელად. ამიტომაც აცრები მდორედ მიმდინარეობს. ***მსურს კიდევ ერთხელ შევახსენო მოსახლეობას ამ დაავადების შესახებ და ვთხოვო, მიბრძანდნენ მათთვის ხელსაყრელ ამცრელ კაბინეტში და აიცრან. კამპანია გრძელდება მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.*** მით უმეტეს, რომ აცრა ტარდება ბივაქცინით– წწ. ერთი ჩხვლეტით თავს დაიცავთ ორი ინფექციური დაავადებისაგან: წითელა და წითურა.

***ვგონებ, საინტერესო იქნება კითხვა-პასუხი წითელა-წითურას შესახებ, რასაც გთავაზობთ ახლა.***

***– რა იწვევს წითელას?***

– წითელას იწვევს ვირუსი.

***– როგორ ვრცელდება წითელა?***

– წითელა ადამიანიდან ადამიანზე ჰაერით ვრცელდება; წითელა ადვილად გადამდებია.

***– რა დროა საჭირო დაავადებასთან კონტაქტიდან სიმპტომების განვითარებამდე?***

– დაავადებასთან კონტაქტის შემდეგ პირველი სიმპტომის განვითარებას, რომელიც ძირითადად არის ცხელება, საშუალოდ 10-12 დღე სჭირდება. წითელას გამონაყარი ჩვეულებრივ არ ვითარდება მე-14 დღეზე ადრე, ცხელების დაწყებიდან 2-3 დღის შემდეგ.

***– რა არის წითელას სიმპტომები?***

– სიმპტომებში შედის ცხელება, სურდო, ხველა, მადის დაკარგვა, „ვარდისფერი თვალი“(კონიუქტივიტი) და გამონაყარი. გამონაყარი ჩვეულებრივ გრძელდება 5-6 დღე და იწყება თმის ხაზთან, შემდეგ გადაინაცვლებს სახისკენ და კისრის ზედა ნაწილისკენ და ვრცელდება ქვემოთ, სხეულზე.

***– რამდენად სერიოზულია წითელა?***

– წითელა საკმაოდ სერიოზული დაავადება; აღრიცხული შემთხვევების 30%-ში აღინიშნება ერთი ან მეტი გართულება. აშშ-ში 1985-1992 წლებში აღინიშნებოდა სიკვდილის 2 შემთხვევა ყოველ 1000 აღრიცხულ შემთხვევაზე. 2004-2005 წელს საქართველოში წითელას აფეთქების დროს ყოველ 1000 დაავადებულზე 1,125 გარდაცვალების შემთხვევა დარეგისტრირდა. წითელას გართულებები უფრო ხშირია მცირე ასაკის ბავშვებში (ხუთ წელზე ნაკლებ ასაკში) და მოზრდილებში (20 წელზე მაღალ ასაკში).

***– რა არის წითელას შესაძლო გართულებები?***

– წითელას ყველაზე ხშირ გართულებას დიარეა წარმოადგენს (ვითარდება შემთხვევათა 8%-ში), განსაკუთრებით მცირე ასაკის ბავშვებში. აღრიცხული შემთხვევების 7%-ში ვითარდება ყურის ინფექციები. პნევმონია, რომელიც შემთხვევათა 6%-ში ვითარდება, წარმოადგენს წითელასთან ასოცირებული სიკვდილის შემთხვევების 60%-ის მიზეზს. დაახლოებით 1000-დან 1 შემთხვევაში ვითარდება მწვავე ენცეფალიტი, თავის ტვინის ანთება. ამ სერიოზულმა გართულებამ შეიძლება გამოიწვიოს ტვინის სამუდამო დაზიანება. ორსულობის პერიოდში წითელა ზრდის ნაადრევი მშობიარობის, თვითნებური აბორტის და მცირე მასის ახალშობილის დაბადების რისკს, თუმცა თანდაყოლილი დეფექტები წითელას ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის. წითელა შეიძლება განსაკუთრებით მძიმედ წარიმართოს იმ პირებში, რომელთაც დაქვეითებული აქვთ იმუნური სისტემა. ის ასევე უფრო მძიმედ მიმდინარეობს ცუდი კვების მქონე ბავშვებში, განსაკუთრებით ვიტამინის დეფიციტის შემთხვევაში. განვითარებად ქვეყნებში ასეთ შემთხვევებში სიკვდილობის მაჩვენებელმა შეიძლება 25%-ს მიაღწიოს.

***– როგორ ხდება წითელას დიაგნოსტირება?***

– წითელას დიაგნოზის დასმა ხდება სიმპტომებისა და ლაბორატორიული ტესტების კომბინაციით.

***– არსებობს თუ არა წითელას მკურნალობა?***

– წითელას საწინააღმდეგო სპეციფიური მკურნალობა არ არსებობს. წითელათი დაავადებულ ადამიანებს ესაჭიროებათ წოლითი რეჟიმი, სითხეების მიღება და ტემპერატურის კონტროლი. გართულებების შემთხვევაში საჭიროა ამ გართულებების სამკურნალო სპეციფიკური მკურნალობა.

***– რამდენი ხნის განმავლობაშია წითელათი დაავადებული ადამიანი გადამდები?***

– წითელა ადვილად გადამდები დაავადებაა და მისი გადაცემა შეიძლება მოხდეს გამონაყრის დაწყებამდე 4 დღით ადრე და გამონაყრის გამოჩენიდან 4 დღის შემდეგ დროის ინტერვალში.

***– რა უნდა გაკეთდეს, თუ ადამიანს კონტაქტი ჰქონდა დაავადებულთან?***

– ამ შემთხვევაში ადამიანმა უნდა შეატყობინოს ექიმს. თუ პირი არ არის ვაქცინირებული, წითელას ვაქცინამ შეიძლება მოახდინოს დაავადების პრევენცია, თუ მისი გაკეთება მოხდება დაავადებასთან კონტაქტიდან 72 საათის განმავლობაში.

***– შეიძლება თუ არა, რომ ადამიანი ერთზე მეტჯერ დაავადდეს წითელათი?***

–არა.

***– რა სახისაა ვაქცინა?***

– წწყ ვაქცინა მზადდება წითელას, წითურასა და ყბაყურას ცოცხალი, დასუსტებული (ატენუირებული) შტამებისგან.

***– როგორ ხდება ვაქცინის შეყვანა ადამიანის ორგანიზმში?***

– ვაქცინის ინექცია კეთდება კანქვეშ (კანქვეშა ქსოვილის ცხიმოვან შრეში).

***– რა ასაკში უნდა გაკეთდეს წწყ-ს პირველი დოზა?***

– წწყ-ს პირველი დოზა უნდა გაკეთდეს პირველ დაბადების დღეზე ან მის შემდეგ; რეკომენდებული ასაკობრივი შუალედია 12-24 თვე. გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ 12 თვემდე გაკეთებული აცრა არ მიიღება სათვალავში და 1 წლის ასაკში ვაქცინაცია მაინც უნდა გამეორდეს.

***– როდის უნდა მიიღონ ბავშვებმა წითელას მეორე აცრა?***

– მეორე დოზა ჩვეულებრივ კეთდება 5 წლის ასაკში, სკოლაში შესვლამდე. თუმცა მეორე დოზა შეიძლება გაკეთდეს უფრო ადრეც, პირველი დოზიდან 28 დღიანი ინტერვალის დაცვით.

***– რამდენად ეფექტურია ეს ვაქცინა?***

– წწყ-ს პირველი დოზა ქმნის კარგ იმუნიტეტს წითელას, წითურასა და ყბაყურას წინააღმდეგ. მეორე დოზა განკუთვნილია იმუნიტეტის გამომუშავებისთვის იმ ადამიანებში, რომლებსაც არ ჰქონდათ რეაქცია პირველ დოზაზე; მეორე დოზის შემდეგ ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება დარჩეს დაუცველი.

***– მოზარდებში და მოზრდილებში, ვინ უნდა მიიღოს წწყ ვაქცინა?***

– ყველა მოზარდს უნდა ჰქონდეს გაკეთებული ვაქცინის ორი დოზა, თუ არ აღინიშნება ნამდვილი უკუჩვენება. ეპიდაფეთქების დროს ჯანდაცვის მუშაკების ვაქცინაცია წწყ-ით უნდა მოხდეს დაბადების თარიღის მიუხედავად.

***– რამდენად უსაფრთხოა ვაქცინა?***

– მსოფლიოში გაცემულია ასობით მილიონი წითელას, ყბაყურასა და წითელას ვაქცინა ცალკეული ან კომბინირებული წწყ ვაქცინის ფორმით და ამ ვაქცინებმა გამოავლინა უსაფრთხოების შესანიშნავი მაჩვენებელი.

***– თუ წწყ ვაქცინის შემდეგ ბავშვს განუვითარდა გამონაყარი, არის თუ არა ის გადამდები?***

– ვაქცინის შემადგენელი ვირუსის გადაცემა არ ხდება ვაქცინირებული ადამიანიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას განუვითარდება გამონაყარი. არ არის საჭირო რაიმე სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ., სკოლიდან ან სამსახურიდან დათხოვნა).

***– ვისთვის არ არის სასურველი წწყ ვაქცინის მიღება?***

– წწყ-ს პირველი დოზის შემდეგ მძიმე ალერგიული რეაქციების (მაგ., ჭინჭრის ციება, ტუჩების, ენის ან ყელის შესიება, სუნთქვის გაძნელება) განვითარების შემთხვევაში ადამიანმა აღარ უნდა მიიღოს მეორე ვაქცინა. ეს ვაქცინა ასევე არ უნდა მიიღოს არც ერთმა ადამიანმა, რომელმაც იცის, რომ ალერგიულია წწყ-ს რომელიმე კომპონენტის მიმართ (მაგ., ჟელატინი, ნეომიცინი). ნებისმიერი ცოცხალი ვირუსული ვაქცინის მსგავსად, წწყ-ს მიღება არ არის სასურველი ორსული ქალებისათვის, ხოლო ვაქცინაციის შემდეგ ორსულობა თავიდან უნდა იქნას აცილებული ოთხი კვირის განმავლობაში. ბავშვები და ორსულის სხვა ოჯახის წევრები უნდა აიცრან რეკომენდებული კალენდრის შესაბამისად. მეძუძური დედების ვაქცინაცია დასაშვებია. მიუხედავად იმისა, რომ შიდსის ან სერიოზული იმუნოსუპრესიის ნიშნებით მიმდინარე აივ-ინფექციის შემთხვევაში ვაქცინაცია არ უნდა მოხდეს, სიმპტომების გარეშე მიმდინარე აივ-ინფექციის დროს პაციენტის აცრა წითელას საწინააღმდეგოდ შეიძლება და სასურველიცაა.

***– შეუძლია თუ არა ვაქცინაში შემავალ ცოცხალ ვირუსს წითელას, ყბაყურას ან წითურას გამოწვევა?***

– ვინაიდან წწყ ვაქცინაში შემავალი წითელას, წითურასა და ყბაყურას ვირუსები დაავადების გამომწვევი ვირუსების დასუსტებული ანალოგებია, მათ შეიძლება გამოიწვიონ დაავადების ძალიან მსუბუქი ფორმა. თუმცა, ეს დაავადება ჩვეულებრივ დაავადებასთან შედარებით გაცილებით მსუბუქია და მიჩნეულია, როგორც ვაქცინის გვერდითი რეაქცია.

***– რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ორსული გაუფრთხილებლობის გამო გაიკეთებს წწყ ვაქცინას?***

– ორსულებს ურჩევენ არ გაიკეთონ აცრა ნებისმიერი ცოცხალი ვირუსის შემცველი ვაქცინით; ეს წარმოადგენს უსაფრთხოების ზომას გამომდინარე თეორიული შესაძებლობიდან, რომ ცოცხალმა ვაქცინამ შეიძლება გამოიწვიოს დაავადება (მაგ., წითურას ვირუსით გამოწვეული თანდაყოლილი წითურას სინდრომი). მაგრამ ეს თუ მაინც მოხდა, რეკომენდებულია ამ სიტუაციაში ქალების ინდივიდუალური კონსულტაცია და არა ორსულობის ხელოვნურად ნაადრევი შეწყვეტა.

*ლელა ოთარაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი***

# 23 ნოემბერი — გიორგობა

## ფერეიდნელების წმინდა გიორგი



**შაჰ-აბასის** მიერ სპარსეთში გადასახლებული ქართველები ასუპასში უნახავს 1627 წელს მოგზაურს თომას ჰერბერტს. მარტო ასუპასში 40000 კაცი ყოფილა. ამ ხალხს მფარველად ჰყავს წმინდა გიორგი, რომელსაც მოწიწებით თაყვანს სცემენო, – ამბობს ჰერბერტი. წმინდა მთავარმოწამეც მრავალგზის შეეწეოდა სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს.

ერთხელ ირანს ავღანელები შემოესივნენ და ფერეიდნის დაპყრობის სურვილიც გაუჩნდათ. იქაური ქართველები (მათ სათავეში იოსებ გუგუნაშვილი ედგათ) საბრძოლველად მოემზადნენ. ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა. თუმცა ბევრი კი ჟლიტეს მტერი, მაგრამ ავღანელებს მაშველი ჯარები ემატებოდნენ. ქართველებმა უკან დაიხიეს და სოფლის დასაწყისს მიადგნენ. საგონებელში ჩაცვივდნენ, რადგან რამდენ ავღანელსაც მოკლავდნენ, ორი იმდენი ემატებოდათ. ბოლოს დაღლილ-დაქანცულნი ჩამოსხდნენ და ფიქრს მიეცნენ. გაახსენდათ თავიანთი სამშობლო, გადასახლების სისხლიანი წლები, ცოლ-შვილი, დედ-მამა, ახლობლები, მიხვდნენ, რომ მეტი ძალა აღარ შესწევდათ, ტყვია-წამალიც გამოლეოდათ, და უნდა დანებებულიყვნენ. ამ დროს ფერეიდანის ჩრდილოეთით, ამაღლების მთებთან, „თამზიანის გორაზე“, ქართველებს გამოეცხადათ თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, შეუძახა მეომრებს და სულიერად განამტკიცა. მათაც ერთი თავზე ხელაღებული შეტევით მთლიანად განდევნეს ავღანელები. მტერი გაიქცა და აღარ დაბრუნებულა. იმ მთას ქართველები „ამაღლების მთას“ ეძახიან. გადმოცემით, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი ნათლით იყო მოსილი. სინათლე იმდენად ძლიერი იყო, რომ ქვა, სადაც წმინდანი იდგა, მისმა ძალამ გახეთქა. ეს ქვა ახლაც იქვეა, თითქოს მაკრატლითაა გაჭრილი, კუთხეები კი სამკუთხედად აქვს ჩამოპობილი. ხელი რომ დაადო, ცხელია. ამ ადგილს სპარსელებიც გაურბიან. 50 მეტრის რადიუსზე ვერავინ ეკარება, რადგან ყველას წმინდა ალაგად მიაჩნია.

## მართლმადიდებლობა

### წმიდა მამა

# სერაფიმე საროველი

**მართლმადიდებელი** ეკლესიის დიდი წმინდანი, ღირსი სერაფიმე საროველი, ერობაში – პროხორე მოშნინი დაიბადა 1754 წლის 19 ივლისს (ძვ. სტილით) ქ. კურსკში. ამ ჭეშმარიტად ზეციური ადამიანის შესახებ თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა განაცხადა: „ესე ჩვენი მოდგმისა არს“. მისი მშობლიური ქალაქის შემწე და მეოხი იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომლის შეწევნითაც აღიზარდა დიდ წმინდანობამდე სერაფიმე და ღირს იქმნა მისგან სანუკვარი წოდება „ნეტარო ჩემო“ ესმინა.

ლოცვის დროს ღირსი მამა გვირჩევს: „ეკლესიაში **ლოცვისას** თვალდახუჭული სჯობს დგომა, ასე უფრო ყურადღებით იქნები. თვალი მაშინ უნდა გაახილო, თუ ძილი მოგერევა. ამ დროს ხატს ან მის წინ დანთებულ კანდელს უნდა მიაპყრო მზერა“.

„წყენის **დათმენა** უნდა ისწავლოთ, თითქოს ეს წყენა შენ კი არა, სხვას ეხებოდეს. ასეთი წვრთნით სიმშვიდესა და თვით უფლის სასუფეველს მოიპოვებთ. სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად მოყვასის განკითხვას მოერიდეთ. ყურად იღეთ ეს ყოველივე, რათა არ განიკითხოთ. თავსა ჰკითხე: სადა ვარ მე? უნდა განაგდოთ თქვენგან სევდა და სასოწარკვეთა. ეცადეთ, რომ ხალასი და მხნე სული შეინარჩუნოთ, სასოწარკვეთა დღეებს ამოკლებს“.

„მთელი ძალისხმევით შეინარჩუნე სულიერი **სიმშვიდე**. თუ ვინმე გაგანაწყენებს, არ იდრტვინვო (ქრისტესთან ყოფნისათვის არაფერია სიმშვიდეზე უკეთესი). მშვიდობა მოიპოვე და შენს ირგვლივ ათასეულნი გადარჩებიან. მშვიდობა, ვითარცა შეუფასებელი განძი, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს დაუტოვა“ (იხ. იოანე. 14.27).

„ღირესეული **სიბერე** წლობით კი არა, ადამიანობით ისაზღვრება. ჭაღარაში სიბრძნეცაა, ასაკში კი უბიწო ცხოვრება. ის, ვინც უფლის სიტყვას ასრულებს, მიუხედავად ასაკისა, ღვთისმოყვარედ ითვლება, ღმერთისთვისაც და ადამიანისთვისაც საყვარელი ხდება“.

აი, რას ამბობდა ტაძრის შესახებ ღირსი სერაფიმე: **„უფლის სახლში** იატაკის მოწმენდისას თუ სხვა საქმის კეთებისას ყოველივე შიშითა და კრთომით, უწყვეტი ლოცვით უნდა შესრულდეს. ტაძარში ეკლესიისა და ეკლესიურის გარდა არაფერი არ უნდა თქვა, განა არის ტაძარზე დიდებული და მშვენიერი რამ?“

შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად უნდა **ვეზიაროთ** ზეციურ საიდუმლოებას, უპასუხა: „რაც უფრო ხშირად, მით უკეთესი“. ამის შესახებ მან დივეევოს დედებს შემდეგი დაუწესა: (მონაზონ კაპიტოლინას ჩანაწერებიდან): „არ უნდა გაუშვათ შემთხვევა ხელიდან და რაც შეიძლება უფრო ხშირად ისარგებლოთ წმინდა საიდუმლოებასთან **ზიარებით** მონიჭებული მადლით. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად გამოტყდეთ საკუთარ ცოდვებში, სასოებითა და მტკიცე რწმენით შეიგნოთ ენითგამოუთქმელი ღვთიური გულმოწყალება. მიმართეთ წმინდა საიდუმლოებას, რომელსაც ყოველივესა და ყველაფრის გამოსწორება ძალუძს. შეეცადეთ, თქვათ: „ვცოდე უფალო სულითა და გულით, სიტყვით, გულისთქმითა და მთელი ჩემი გრძნობებით“.

ერთ-ერთ ერისკაცს მამა სერაფიმე ასე არიგებდა: „ვინც წელიწადში მრავალგზის **ეზიარება** კრძალვითა და რიდით, გადარჩება და დღეგრძელი იქნება მიწაზე. მწამს, დასძინა მან, ზიარებისას ღვთის მადლი შთამომავლობაზეც გადადის. უფლის წინაშე ერთი მისი ნების აღმსრულებელი, ათას ცოდვილს იფარავს“.

„ხდება ხოლმე, რომ აქ, მიწაზე ეზიარებიან, ხოლო უფალთან უზიარებლები რჩებიან! ზოგიერთს ძლიერ სურს **ზიარება**, მაგრამ რატომღაც არ უსრულდება ნატვრა, მაშინ სრულიად დამოუკიდებლად და უხილავად. უფლის ანგელოზის მეშვეობით ხორციელდება ზიარება“.

„საღვთო წერილი, – ამბობდა იგი მოგვიანებით, – იმისათვის უნდა იკითხოთ, რომ საკუთარ **სულს** თავისუფლება მიანიჭოთ ზეციურ სავანეში ასამაღლებლად.

აი, მე გლახაკი სერაფიმე, **სახარებას** ყოველდღიურად ვკითხულობ. ორშაბათს მათეს სახარებას ვკითხულობ თავიდან ბოლომდე, სამშაბათს – მარკოზის სახარებას, ოთხშაბათს – ლუკასას, ხუთშაბათს – იოანესას, ბოლო დღეებში კი ვანაწილებ სამოციქულოს და საქმეთა საკითხავებს. დღეს არ ვაცდენ, რომ სახარება და სამოციქულო არ წავიკითხო. ამით არა მარტო ჩემი სული, არამედ სხეულიც ნეტარებს ღმერთთან საუბრით და ცხოველმყოფელი ხდება იმით, რომ ჩემს მეხსიერებაში შემოვინახავ მის ცხოვრებას და წამებას. დღე და ღამე ვადიდებ, ვაქებ და მადლობას ვუძღვნი ჩემს მხსნელს იმ მოწყალების გამო, რომელიც მთელ ადამიანთა მოდგმას და მათთან მე, უღირსსაც მომანიჭა“.

„ვისაც ჩემს მიმართ აქვს რწმენა, მე, გლახაკ სერაფიმეს, – ამბობდა იგი, იმ ადამიანის სახელზე მინთია წმინდა სანთელი, ხოლო თუ სანთელი ეცემა, ეს იმის ნიშანია, რომ ეს ადამიანი სასიკვდილო **ცოდვაშია**. მე მუხლს ვიყრი მის მაგივრად ყოვლადმოწყალე ღვთის წინაშე“.

მამა სერაფიმე განუწყვეტლივ ლოცვაში ცხოვრობდა და სხვებსაც ამას არიგებდა: „ძილისაგან აღდგომილმა ყოველმა ქრისტიანმა ხატების წინ უფლის ლოცვა უნდა წაიკითხოს: „მამაო ჩვენო“ – სამჯერ, ყოვლადწმიდა სამების სახელზე, შემდეგ ღვთისმშობლის სადიდებელი, „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“ – ასევე სამჯერ და ბოლოს მრწამსი „მწამს ერთი ღმერთი“ – ერთგზის. „აღნიშნული ლოცვები, განმარტავდა მას სერაფიმე, – ქრისტიანობის ქვაკუთხედად გვევლინება: პირველი, როგორც ლოცვა, თვით უფალმა გვიბოძა. ეს ყველა ლოცვის დასაბამია, მეორე – მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობელს, ყოვლადწმიდა მარიამს ახარა: მრწამსში კი ქრისტიანული სარწმუნოების ყველა მაცხოვნებელი დოგმატია. ამ წესის შესრულების შემდეგ, დაე, ყველა ქრისტიანი თავის საქმეს ეწიოს. მუშაობისას, სახლში ყოფნისას, თუ გზაზე მიმავალმა, ყოველმა ადამიანმა ჩუმად უნდა იმეოროს: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. თუ სხვათა გარემოცვაში ხართ, საქმიანობაში, გონებაში მხოლოდ ეს გაიმეორეთ „უფალო შემიწყალენ“ და ასე გააგრძელეთ შუადღემდე. სადილობის წინ ზემოთ აღნიშნული (სამი ლოცვა) უნდა შეასრულოთ. სადილობის შემდგომ ყველა ქრისტიანმა საქმის დამთავრებისას ჩუმად უნდა იკითხოს „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, შემეწიე და მაცხოვნე მე, ცოდვილი“. ძილისაგან აღდგომილმა ზემოაღნიშნული დილის ლოცვა უნდა შეასრულოს, შემდეგ კი პირჯვარი გადაისახოს.



ამ უბრალო წესის დაცვით შეგიძლიათ ქრისტიანული **სრულყოფილების** ზღვარს მიაღწიოთ“.

„ლოცვა ცხვირისმიერი სუნთქვით, მოკუმული ბაგეებით ისწავლე. ეს ხელოვნება ხორციელ ზრახვათა წინააღმდეგ მიმართული შოლტია“.

**უფალი ჩვენთანაა**, ღმერთზე მინდობილნი ვართ; ამასთან უფალი ვითარცა თვალის ჩინს, ისე იცავს თავის ერს, ე.ი. მართლმადიდებელ ქრისტიანებს, რომელთაც უყვართ იგი მთელი გულით, ფიქრით, სიტყვითა და საქმით, დღე და ღამ მას ემსახურებიან, ხოლო ასეთნი ჩვენი ეკლესიის კანონებს, დოგმატებს იცავენ“.

„ილოცეთ, უმეტესად თქვენს კეთილმყოფელებზე ილოცეთ, – არიგებდა მამაო თავის დედებს, – მაგრამ არასოდეს გადაუხადოთ მადლობა სიტყვით, რადგან ამით თქვენ მას ქურდავთ – კეთილისმყოფელს დამსახურებულ საზღაურს უკარგავთ, რომელიც მან უფლისაგან უნდა მიიღოს ჩადენილი სიკეთისათვის. თქვენ კი არა, იგი უნდა მადლობდეს ღმერთს, რომ მისგან ძღვენი მიიღო“.

მონასტრიდან რაიმეს აღება, თუნდაც ნათესავისათვის, ღირს მამას უმძიმეს და საშინელ ცოდვად მიაჩნდა. „ეს სახლში შეტანილი ცეცხლივით არის, ვისაც გადასცემთ, იმას დაფერფლავს, სახლი დაიღუპება და დაიქცევა, მთელი გვარი ამოწყდება! თუ გაქვს შენი, გაეცი, არა გაქვს, მაშინ მთელი გულშემოსვრილობით ილოცე“.

*წიგნიდან „წმ. სერაფიმე საროველის ცხოვრება“*

## წმ. გიორგის მოსახელენი

### მოხალისე და მოჭიდავე



**გიორგი ოსეფაშვილი** 11 წლისაა – გომბორის საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი. ჰყავს უფროსი ძმა – უფროსკლასელი ზურაბი. მოკრივე და როგორც მისი მწვრთნელი იმედოვნებს, საკმაოდ პერსპექტიული მოკრივე. გიორგი დაძმებში რიგით მეორეა, შემდეგ მესამეკლასელი ნიკოლოზი მოსდევს. აი, ნაბოლარა მარი კი, არც სამ უფროს ძმას „ეჩაგვრინება“ და არც დეიდაშვილ ბიჭებს, ჯერ-ჯერობით საბავშვო ბაღის აღსაზრდელის ტიტულითაა. მასზე მზრუნველობა, საბავშვო ბაღიდან სახლში დაბრუნების „მისია“ სწორედ გიორგის აკისრია ხშირად.

დასაწყისში ვთქვით, გიორგი 11 წლისააო. ამ თერთმეტი წლის ბიჭს სასკოლო საგნებიდან მათემატიკა უყვარს, რომელსაც პედაგოგი ელისო რკინაული ასწავლის. გიორგისთვის იგი მხოლოდ მათემატიკის მასწავლებელი არ არის. დიახ, მისთვის სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ბაქარ სულხანიშვილის დედაცაა, იმ ბიჭისა, გიორგის სკოლა რომ დაამთავრა და გმირად იქცა ახალგაზრდა ასაკშივე.... გიორგის ძელო ჭინჭარაულის სახელიც ეამაყება. მისი სკოლის კურსდამთავრებულის, აფხაზეთის ომში დაღუპული ვაჟკაცის...

თავად გიორგი მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს – ჭიდაობაში, დიახ, ჭიდაობაში. ამიტომაა, კვირაში სამჯერ – ორშაბათს, სამშაბათს და პარასკევს გომბორიდან საგარეჯოს სპორტდარბაზში მწვრთნელ მამუკა მათიაშვილის აღსაზრდელებისკენ მიიჩქარის. აქ, ამ დარბაზში გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მამუკა მასწავლებლის თითოეულ შენიშვნას, ილეთს, იმახსოვრებს, ზუსტად ისე აკეთებს, როგორც მომავალმა ჩემპიონმა უნდა გამოიყენოს. იზეიმა კიდეც გამარჯვებები. ორჯერ, ერთხელ მაისში და ახლახანს ჩემპიონიც გახდა, ჯერჯერობით რაიონული მასშტაბით, მაგრამ შემდეგში „გავა“ ალბათ რაიონის ფარგლებს გარეთ.

არ გაინტერესებთ, როგორ ახერხებს გიორგი გომბორიდან საგარეჯოში ჭიდაობის სექციაში სიარულს? მისთვის ძალიან უბრალოდ და მარტივად – გამოვა გომბორის ცენტრალურ ქუჩაზე, გამვლელ მანქანას ჩაჰყვება „გომბორის ტეკამდე“, იქ გადაჯდება საგარეჯოსკენ მიმავალ ტრანსპორტში და იქნებ სხვებზე ადრეც მოვიდეს სპორტდარბაზში. შეღავათი მხოლოდ პარასკევსაა. აქ, ნინოწმინდაში, ნანა დეიდასთან რჩება ხანდახან და მეორე დღეს მიდის გომბორში. ჯერ-ჯერობით არ ბეზრდება, პირიქით, ყოველ დღეს რომ მოუწიოს გომბორი-საგარეჯოს გზაზე სიარული, ივლის. ივლის იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს მომავალი ძიუდოისტი...

შენ თუ თერთმეტი წლის ხარ, შეგიძლია დამოუკიდებლად 80 კილომეტრზე მეტ მანძილზე კვირაში სამჯერ რამდენიმე ტრანსპორტი გამოიცვალო, ოღონდ კი სანუკვარი ოცნება აისრულო, ოცნება, რომელსაც რამდენიმე წლის თავდაუზოგავი შრომა და გარჯა სჭირდება?!

### მოქადრაკე



**მე** ვარ გიორგი ქაიხოსროშვილი. ვსწავლობ საგარეჯოს I საჯარო სკოლის IVბ კლასში. ეს სახელი დედამ დამარქვა. მას წმინდა გიორგისთვის აღუთქვამს, თუ ვაჟი ეყოლებოდა, აუცილებლად მის სახელს დაარქმევდა და ასეც მოქცეულა. დედა ხშირად მარიგებს ხოლმე. შენ დიდი წმინდანის მოსახელე ხარ და ისე უნდა მოიქცე, როგორც მას ეკადრებაო. ვიცი, რომ წმ. გიორგი საქართველოს სიმბოლოა, ბერძნულად „მიწათმოქმედს“ ნიშნავს და ჩვენი ძირითადი საქმიანობა მიწის დამუშავება იყო. ვიცი, რომ წმ გიორგი შეიძლება ქართველი იყოს. მე მის მფარველობას და ძალას ყველგან და ყოველთვის ვგრძნობ. რაც არ უნდა დიდი განსაცდელი თუ ავადმყოფობა შემხვდეს, იოლად გამივლის ხოლმე, თუ რაიმე სიძნელეს ვაწყდები სწავლაში, მახსენდება, რომ წმინდა გიორგის მოსახელე ვარ და არ უნდა ვიწუწუნო. მერე ყველაფერი გამიადვილდება ხოლმე. ვსწავლობ კარგად, დიდი ინტერესით ვეუფლები ჭადრაკს ჭადრაკის სექციაში მასწავლებელ თენგიზ კობიაშვილთან, ვცდილობ ჩემი ყოფაქცევით არ შევარცხვინო ჩემი ოჯახი და ის სახელი, რომელიც ყველა ქართველისათვის ასე ძვირფასია. კიდევ ვაპირებ დავეუფლო ქართულ საბრძოლო ხელოვნებას – ხრიდოლს. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ გამოიყენება ის შუბი, რომლითაც წმ. გიორგი გველეშაპს გმირავს.

ყველა გიორგის ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. წმ. გიორგი გვფარავდეს!

# მილოცვა

## ეკა ხებრელაშვილი-მათიაშვილს



ჩვენს ლამაზ და ჭკვიან თანამშრომელს **ეკას** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და ულევ სიყვარულს თავის ოჯახთან ერთად.

*„საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ თანამშრომლები*

## პოეზიის საღამო

# შეხვედრა პოეტთან

**2014** წლის 22 ნოემბერს თბილისში სამების საკათედრო ტაძართან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური აღზრდის ცენტრმა უმასპინძლა პოეტ რომან ზუკაკიშვილს.

პოეზიის შემოქმედებით საღამოს ესწრებოდნენ მისი მეგობრები, ახლობლები, პოეტები, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და საგარეჯოს რესურს-ცენტრის წარმომადგენლები. შემოქმედებითი საღამო მიჰყავდათ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს მარიამ ჭიაბერაშვილს და ხატია დიაკონიძეს. საღამო გახსნა დარეჯან გილაშვილმა, საგალობლები შეასრულა ანსამბლმა „ხარებამ“ ტატო გოდერძიშვილის ხელმძღვანელობით. სიტყვით გამოვიდნენ პოეტები: მზია ხეთაგური, თემურ ჩალაბაშვილი, იზა ჯაჭვაძე, პოეტის მეგობრები: ზაზა ონაშვილი, არჩილ ჯაბადარი და მაია დონაძე, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის თანაშემწე ნათია ქობალია, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე მაია კობახიძე, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, პატარძეულის კულტურის სახლის დირექტორი თინა ბერძენიშვილი, კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი, მსახიობი ვახტანგ მელაშვილი, საპატრიარქოს წარმომადგენელი დარეჯან ძნელაძე, ფილოლოგი ლეილა არჩემაშვილი, რომანის ლექსების გერმანულ ენაზე მთარგმნელი ნინო მჭედლიშვილი, საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ლიკა მელაშვილი და პოეტის ვაჟი გიორგი ზუკაკიშვილი.

პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა გააჟღერა საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილება რომან ზუკაკიშვილისათვის გიორგი ლეონიძის პრემიის მინიჭების შესახებ.

დასასრულ, საგარეჯოს თეატრის მსახიობმა ნათელა დიღმელაშვილმა წარმოადგინა პაროდია „ფუფალას“ როლით და წაიკითხა რომან ზუკაკიშვილის სრულიად ახალი ლექსი სიყვარულზე.

## „მიწა ვარ და მიწად ვიქეც, ჩავემარცვლე ქრისტეს ყანას“

# დედის მონატრება



### სულიკო ბორაშვილი



**დრო** ყველაფრის მკურნალიაო – მე ვერ გავითავისე ეს ნუგეში. დრომ კი უკურნებლად მიითვალა ცრემლიანი, ტკივილიანი, გაუსაძლისი 1992 წლის 11 თებერვალი. ძნელია, მეტად ძნელი ის დანაკლისი, რომელიც უცაბედმა ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ვაჟთა შორის სულით მაღალი, პირმშვენიერი, უზადო ზნეობისა და კეთილი გულის ადამიანი, გულმხურვალე, საამაყო შვილი ოჯახისა და უღალატო მეგობრისა.

საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის მკვიდრი სულიკო ბორაშვილი იყო უმაღლესი განათლებით, მუშაობდა ქ. თბილისის შს სამმართველოში. მან სოფლიდან წაიღო ის შემართება და სიფიცხე, რომელიც უშურველად მიიტანა ყველგან, ყოველ უბანზე, სადაც ის მუშაობდა. იბრძოდა ცხინვალში სამშობლოს მთლიანობისათვის. იყო თავისი საქმის უშიშარი მებრძოლი. სულიკო წინააღმდეგი იყო ყოველთვის, როცა მშობლები შვილს აქებდნენ – ეს საზოგადოებამ უნდა შეაფასოს და არა მშობელმაო. მეც, როგორც მშობელი ვეყრდნობი არქივიდან მოძიებულ მასალებს, სადაც კარგი დამსახურებისათვის უამრავი ჯილდო და დახასიათებაა დათარიღებული. მაგრამ... 1992 წლის 11 თებერვალს 32 წლის ასაკში ყველაზე ვერაგ მტერს – სიკვდილს დანებდა უხმოდ და უდრტვინველად. დავკარგეთ კარგი შვილი, დაგვწყვიტა ყველას გული, ვინც მას იცნობდა, ვინც მას ჰყვარებია, ვისაც ის უყვარდა. ხუთი დეკემბერი ძნელად გასახსენებელია მშობლისათვის და ძმისათვის. ეს თარიღი სიხარულის მომტანი იყო, რადგან ყველა ერთად ვზეიმობდით სულიკოს დაბადებას. ახლა კი ცრემლიანია ამ თარიღის მოახლოება ჩვენთვის, რადგან ამ დროს შენს გაღიმებულ სახეს ველარ ვიხილავთ, შვილო, რახან გაგწირა ღმერთმა. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური მანავის მიწა, ჩემო კეთილო შვილო.

*დედა – ელიკო წიკლაური-ბორაშვილი*

***მანავი***

### გია კირაკოზაშვილი



**ჩემო** უძვირფასესო შვილო, ისევ შენი საყვარელი სიმღერით მინდა დავიწყო შენი მოგონება.

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალ,
დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო!“

სიმღერა იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება კუმშავს და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა!

22 ნოემბერს 6 გაუსაძლისი და გამანადგურებელი წელი გახდა, რაც დიდ ჩაილურში, მამა-პაპათა საგვარეულო საფლავს მიგაბარეს ჩემო სიხარულო, ჩემო ოცნების ვაჟკაცო, ჩემო გიორგი კირაკოზაშვილო, ჩემო ერთადერთო სანთელო.

23 ნოემბერს გილოცავთ 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ 19 გიორგის და ყველა იმ 169 გმირს, რომლებიც საქართველოს ღვიძლი შვილები და ფხიზელი მეომრები იყვნენ.

ღვთისმშობლის მადლი და წმიდა გიორგის მფარველობა არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

საამაყო იყო შვილო, შენი შვილობა. თურმე როგორი ბედნიერი ვიყავი 33 წელი. მყავდა ჭკვიანი, გულიანი ვაჟკაცი, კაცთმოყვარე, ღმერთის მორჩილი, სამშობლოს შეწირული.

გაუსაძლისია, შვილო, უშენობა. თითქმის 6 წამიც არ გასულა შენი გარდაცვალებიდან. დედაშენი იმ წამებში ჩარჩა, რა წამს ცინკის სასახლით შემოგიყვანეს შენს ეზოში, სახლშიც არ დაგასვენეს. იქ იმ დროს მოკვდა დედაშენი, მაგრამ მე და შენს შორის, შვილო, ის განსხვავებაა, რომ შენ დედამ მიწა მოგაყარა. მე კი დღესაც უპატრონო მიცვალებული ვარ მიწის ზევით უშენოდ. შვილმკვდარ დედას სახელი არა აქვს. რა გავიხსენო, შვილო? იმის შიშით ვიცხოვრე, რომ შენ არ მომკვდომოდი... და აი, 2008 წლის 9 აგვისტოს დადგა ეს საშინელი ჟამი. შენ ხარ ჩემი წარსულიც, ჩემი აწმყოც და ჩემი მომავალიც, რომელთან შეხვედრასაც ველი სულმოუთქმელად!

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი. სწორედაც რომ ცოდვილი ვარ და მადლობელი ვარ უფლისა. ამას ვხვდები და ვაცნობიერებ!

შვილო, კარგად თქვა გოგლა ლეონიძემ – წუთისოფელს სამართალი აკლიაო, ჩემო სიცოცხლევ, სამართალი უფალს აქვს, სწორედ უფალმა იცხოვრა წუთისოფელში ცოდვის გარეშე. უფალმა შენ ამოგარჩია და მეც დავემორჩილები მის ნებას.

შვილო, დაბადება და გარდაცვალება ერთმანეთს ჰგავს. როცა ბავშვი იბადება ტირის, რადგან დედის ორგანიზმს შეჩვეულია და არ უნდა ის სითბო დაკარგოს, რადგან არ იცის მერე რამხელა სითბო ელოდება დედისგან, ასეა გარდაცვალებაც – დედა ტირილით აცილებს შვილს, რადგან არ იცის, რომ უფლის ნებით უბრუნდება უფალს მისგან ნაჩუქარი საჩუქარი. სწორედ რომ დიდი სიხარულია დედამ ლოცვით მიიყვანოს შვილი უფლამდე და დააბინაოს. დედის ლოცვას ხომ დიდი ძალა აქვს, ცოცხალ დედას და გარდაცვლილსაც.

ჩვენ, შვილმკვდარი დედები ღვთისმშობლის ტკივილის თანაზიარი ვართ და განა ეს არ არის ნუგეში და საჩუქარი, უფლისა ჩვენთვის, ჩვენ ხომ ღვთისმშობლის კალთას ამოვეფარეთ. მადლობა უფალს ყველაფრისათვის. შენ აძლევ ყველა დედას სულიერ ძალას გაუძლოს ამ მწუხარებას. ამავე დროს ხარ დიდი იმედი იმისა, რომ ჩვენს შვილებს შევხვდებით და ერთად ვიქნებით სამარადჟამოდ.

ჩვენ ყველა დედა იმ სამზადისით ვცხოვრობთ, რომ უფალს შევხვდებით და ეს გარდაუვალი რეალობაა.

სწორედ ეს არის ჩემი იმედიც და ჩემი ნუგეშიც.

მიყვარხარ „უფალო და ყველაზე ძვირფასი ვინც მყავდა, ის ჩაგაბარე. მეც მინდა გებარებოდე, ძეო ღვთისაო“.

შვილო, ჩვენ სულაც არა ვართ ერთმანეთისგან შორს, უბრალოდ სხვადასხვა სამყაროში ვაგრძელებთ სიცოცხლეს შეხვედრამდე, ხომ ვიყავით ერთად, კიდევ ვიქნებით – მერე უკვე დაუსრულებლად, მიყვარხარ, სიხარულო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღმერთი უფრო მიყვარს შენზე მეტად, ამიტომ შევძელი 6 წელი უშენოდ ამ წუთისოფელში. სწორედ უფლის სიყვარულმა გადამადგმევინა ის ნაბიჯი, რომ ვყოფილიყავი დიდი ჩაილურის ღვთისმშობლის ეკლესიის მესანთლე, და მეზრუნა ჩვენი სულების გადარჩენაზე.

ასე, ჩემო დედის სულო და გულო, ვადიდოთ უფალი და ერთად ვილოცოთ ყველასთვის, საქართველოს გადარჩენისთვის. შენ ხომ ჩემი მასპინძელი უნდა იყო, შვილო. იყავი უფლის მორჩილი შვილი და დედას ეჩვენე, როგორც ეჩვენებოდი ხოლმე.

მე კი ამ წუთისოფლის ზღაპრები აღარ მინდა, არც აღარავისი და აღარაფრის მჯერა, ვინატრებ მალე ჩვენს შეხვედრას, შენს სულსა და გულს შემოევლოს შენი დედა, ჩემო სულიანო და გულიანო ვაჟკაცო.

***დედა***

*დალი კირაკოზაშვილი,*

***სოფელი დიდი ჩაილური***

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

მანავის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ამავე სკოლის დირექტორს ლია ყორღანაშვილს მეუღლის

**შოთა ბორაშვილის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საბჭოს სახელით რომან ზუკაკიშვილი და ბეჟან სურმანიძე თანაგრძნობას უცხადებს მანავის საჯარო სკოლის დირექტორს ლია ყორღანაშვილს მეუღლის

**შოთა ბორაშვილის**

გარდაცვალების გამო.